რუსულიდან ამირეჯიბი

კონცეპტი და მეტაფორული აზროვნება (*შიშის* ველის მაგალითზე)

ენა ეროვნული და კულტურული იდენტობის ერთერთი ძირითადი მარკერია. უდავოა, რომ ენები და კულტურები მრავალფეროვანია. არც ერთი ენა ზუსტად არ ითარგმნება მეორე ენაზე. სამყარო, რომელიც მუდმივად ერთნაირად გვეძლევა, სხვადასხვაგვარად აღიქმება სხვადასხვა ენის მატარებელთა მიერ. ეროვნულ-კულტურული კომპონენტი ასახავს სამყაროს ენობრივ სურათს, რაც წარმოადგენს მოცემული ენობრივი კოლექტივის აზროვნებაში სამყაროს შესახებ ისტორიულად ჩამოყალიბებულ შეხედულებათა ერთობლიობას, სინამდვილის კონცეპტუალიზაციის ერთგვარ ხერხს. ყოველი ბუნებრივი ენა ასახავს სამყაროს ორგანიზაციის და აღქმის გარკვეულ საშუალებას. მასში არსებული შეხედულებები ყალიბდება ერთგვარ სისტემად, ერთგვარ კოლექტიურ ფილოსოფიად, რომელიც საზიაროა მთელი ჯგუფისათვის. მოცემული ენისთვის დამახასიათებელი სამყაროს კონცეპტუალიზაციის ხერხი ნაწილობრივ უნივერსალური და ნაწილობრივ თავისებურია. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეები ოდნავ განსხვავებულად უყურებენ სამყაროს, თავისი ენობრივ პრიზმაში ატარებენ მას. სამყაროს ენობრივი სურათი, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილოა იმ აზრით, რომ განსხვავდება მეცნიერული წარმოდგენისაგან. თუმცა ეს გულუბრყვილო შეხედულებები არავითარ შემთხვევაში არ არის პრიმიტიული, ზოგჯერ კი ძალზე საინტერესო და უფრო რთულიც კია, ვიდრე მეცნიერული.

სამყაროს ენობრივი სურათის ცნება ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის იდეებიდან მოდის. საერთოდ ეთნოკულტურის, ენისა და ეთნოსის ურთიერთობის პრობლემის შესწავლაზე გავლენას ახდენს ჰუმბოლდტის ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური იდეები. ერის მსოფლხედვის ჩამოყალიბებაში ჰუმბოლდტი უდიდეს როლს ანიჭებდა ენას. იგი ხაზს უსვამდა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა მიერ სამყაროს სხვადასხვაგვარ აღქმას. ამ ნააზრევზე დაყრდნობით გაჩნდა ისეთი დისციპლინები, როგორებიცაა ეთნოფსიქოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა, კოგნიტიური ფსიქოლოგია, სოციოლინგვისტიკა, კოგნიტიური ლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა. ამათ საფუძველზე კი უფრო მეტი ინტერდისციპლინური სინთეზი ხდება და ვღებულობთ ეთნოფსიოქოლინგვისტიკას, ეთნოსემანტიკას, ეთნოფრაზეოლოგიას და ლინგვოკულტუროლოგიას.

თანამედროვე ლინგვისტიკის ერთერთ წამყვან დარგად სწორედ ენის მეშვეობით კულტურის შესწავლა იქცა. კულტუროლოგიური ლინგვისტიკა ანუ ლინგვოკულტუროლოგია ენას კულტურის ფენომენად და ეროვნული მენტალიტეტის გამოხატულებად მიიჩნევს და იხილავს მას ადამიანთან, მის აზროვნებასთან, ფსიქიკასა და სულიერებასთან მჭიდრო კავშირში. მისი ინტერესების სფეროს განეკუთვნება სამყაროს ენობრივი სურათი და სიმბოლოს როლი, მეტაფორა და ფრაზეოლოგიზმი. ამ დარგის აღმოცენება რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. პირველია მსოფლიო პრობლემათა გლობალიზაცია, უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადაწყვეტისას სხვადასხვა ხალხების ქცევისა და ურთიერთობების სპეციფიკური და უნივერსალური მახასიათებლების

გათვალისწინების აუცილებლობა კულტურათშორისი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად. მეორეა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარების პროცესის ობიექტური ინტეგრაციული ტენდენცია. მესამე კი ლინგვისტური ცოდნის გამოყენებითი მხარეა, ანუ ის, რომ ენა კოლექტიური ცოდნის კონცენტრირებული აღქმის საშუალებაა, რაც დაფიქსირებულია ლექსიკურ ერთეულებში (1).

მეცნიერების ახალ დარგს, ცხადია, ახალი ცნებები და კატეგორიები დასჭირდა, რომლებშიც ადეკვატურად აისახებოდა როგორც ლინგვისტური, ასევე კულტუროლოგიური საწყისი. ამგვარი ტერმინოლოგიური აპარატის საფუძველი გახდა *კონცეპტის* ცნება. კონცეპტი არის ის, რისი საშუალებითაც კულტურა შემოდის ადამიანის მენტალურ სამყაროში და, ამავე დროს, კონცეპტი არის ის, რისი საშუალებითაც ადამიანი თავად შედის კულტურაში. კონცეპტი უბრალოდ ცნებისაგან იმით განსხვავდება, რომ მას თან ახლავს გრძნობითი და ხატოვანი მახასიათებლები. ცნება აზროვნების კატეგორიაა, კონცეპტი კი იმავდროულად განცდითი კატეგორიაცაა. იგი არც უშუალოდ ენაში ძევს და არც კულტურაში, არამედ ორივე სფეროში ერთდროულად. ადამიანის აზროვნება კი შუამავალია ენასა და კულტურას შორის. ენის და კულტურის ურთიერთობის შესწავლა შეუძლებელია ამ შუალედური რგოლის გარეშე. ამიტომ ლინგვოკულტუროლოგია კონცეპტს იყენებს ენის, აზროვნების და კულტურის კომპლექსური შესწავლისათვის. აზროვნებაში შემოდის კულტურული ინფორმაცია, გადამუშავდება და სისტემატიზირდება. აზროვნებავე კისრულობს ენის საშუალებათა შერჩევას ამ ინფორმაციის გადასაცემად კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში (2, გვ. 128) ამგვარად, კონცეპტი სწორედ იმ ენობრივი სურათის გამოხატულებას წარმოადგენს, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ერთი და იგივე კონცეპტი შეიძლება სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულში გამოიხატოს, იქნება ეს სინონიმური სიტყვები თუ ფრაზეოლოგიზმები. ეს კი ქმნის ლექსიკურ-სემანტიკურ პარადიგმას.

1980 წელს ამერიკელმა ანთროპოლოგმა და ლინგვისტმა ჯორჯ ლაკოფმა ფილოსოფოს მარკ ჯონსონთან ერთად ინტელექტუალურ ბესტსელერად ქცეული წიგნი გამოაქვეყნა სათაურით “მეტაფორები, რომლებითაც ჩვენ ვცხოვრობთ” (3). ამ წიგნში ავტორები აყალიბებენ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ხატოვანი გამონათქვამი იმდენად პოეტური მეტყველების ფიგურას არ წარმოადგენს, რამდენადაც ადამიანის აზროვნების საშუალებით სამყაროს შეცნობის უმნიშვნელოვანეს მექანიზმს. ეთნოკულტურული მეტაფორა ენობრივი სურათის მნიშვნელოვანი კომპონენტია და ასახავს მოცემულ ენობრივ კოლექტივში მიღებულ სინამდვილის დანაწევრებისა და კლასიფიკაციის ხერხებს.

ხალხის ისტორიისა და კულტურის კავშირი კარგად ჩანს ისეთ მეტაფორულ ენობრივ გამონათქვამში, როგორიცაა ფრაზეოლოგიზმი, ფრაზელოგიზმები ადამიანის და მთელი სოციუმის სულიერი კულტურის, მისი ზნეობრივი, ეთიკური და ესთეტიკური ფასეულობებს გამოვლინებაა. მათში ასახულია მოცემული ხალხის ძირითადი მოღვაწეობით განპირობებული სოციალური გამოცდილება. ბევრი მათგანის არსებობა აიხსნება პრაქტიკული მოთხოვნილებით. მათი უმეტესობა ასახავს სპეციფიკურ ეროვნულ თვისებებს. ფრაზეოლოგიზმების შესწავლა

ლინგვოკულტუროლოგიის თვალსაზრისით უამრავ მასალას იძლევა ამა თუ იმ კულტურის ფარგლებში სამყაროს აღქმის თავისებურებათა შესასწავლად.

ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან საქმედ მიგვაჩნია ლინგვოკულტუროლოგიის მეთოდებით ქართული ფრაზეოლოგიზმების შესწავლა, რისი პირველი ცდაც მოცემული გვაქვს ნაშრომში *"სიბრაზის" სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში* (4). ადრე ჩვენ სხვა სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმებიც დავამუშავეთ (5, 6, 7), ოღონდ ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომაზე ყურადღება არ გაგვიმახვილებია. ჩვენი მიზანი გახლდათ თემატურ-სიტუაციური ნიშნით მოგვეხდინა ფრაზეოლოგიზმთა კლასიფიკაცია და ამის საფუძველზე ისეთი ლექსიკონი შეგვედგინა, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა მათი ფორმოლივ-სემანტიკური შეზღუდვები და ექსპრესიულ-სტილისტური ფუნქციები. ლინგვოკულტუროლგიური მოდგომისათვის განსაკუთრებით საინტერესოდ გვესახება ემოციათა გამომხატველი ფრაზეოლოგიზმების შესწავლა. ამიტომ გვინდა მივუბრუნდეთ სხვა თვალსაზრისით უკვე განხილულ (7) შიშის სემანტიკის შემცველ ფრაზეოლოგიზმებს.

ემოციას როგორც ფსიქიკურ მოვლენას ძალზე რთული კონცეპტუალური სტრუქტურა აქვს და ამ სტრუქტურის გამოვლენა მხოლოდ იმ გამონათქვამთა სისტემატიზაციით შეიძლება, რომელთაც ამა თუ იმ ენის მატარებლები იყენებენ (8). როგორც წესი, თითოეული ემოცია გამოხატულია რიგი ფრაზეოლოგიზმებით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მეტაფორული მოდელებით. ეს კონცეპტები უბრალოდ ფანტაზიის ნაყოფს კი არ წარმოადგენს, არამედ მათ საფუძვლად უდევს გრძნობითი, სხეულისმიერი გამოცდილება (8). და გვიჩვენებს კავშირს არა გამონათქვამის სიტყვასიტყვით მნიშვნელობასა და ადამიანის ფიზიოლოგიას შორის, არამედ სწორედ მეტაფორულ ნათქვამსა და ფიზიოლოგიას შორის, ე.ი. ამა თუ იმ ემოციის გამომხატველი გამონათქვამი მოტივირებულია ჩვენივე ფიზიოლოგიით. ვთქვათ, გაბრაზების დროს ხდება რიგი ფიზიოლოგიური ცვლილება: შინაგანი წნევა აიწევს (**ტვინში სისხლი აუვარდება**), ხდება სახისა და კისრის გაწითლება (**სახეზე ალმური მოეკიდება**) და სხვ (4).

კონკრეტული ემოციის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმების შესწავლისას ჯერ უნდა გავარკვიოთ ამ ემოციის ფიზიოლოგიური გამოვლინება. ამა თუ იმ ენის მატარებელთა ემოციური გამოცდილების გასარკვევად კი შევისწავლოთ კონკრეტული ემოციის ენობრივი გადმოცემა.

ფიზიოლოგიის თვალსაზრისით, შიშს თან ახლავს კუნთების ტონუსის დაცემა, გულისცემის შესუსტება, სისხლის წნევის დაწევა, თვალის გუგის გაფართოება, ოფლიანობა, სისხლის მოზღვავება კუნთებში. შიში ძლიერი ემოციაა და შეიძლება სიკვდილიც კი გამოიწვიოს. ამიტომ გასაკვირი არ არის მისი შესამჩნევი გავლენა ინდივიდის აღქმის უნარზე, აზროვნებასა და ქცევაზე. დავაკვირდეთ, ყოფით დონეზე როგორ აღიქვამს შიშს ქართველი კაცი და, ვინაიდან ლინგვოკულტუროლოგიის კატეგორიები ამა თუ იმ ლინგვოკულტურის მატარებელთა სამეტყველო ქცევასა და ენობრივი ცნობიერების ეთნოსოციოკულტურულ თავისებურებათა სხვა ეთნოკულტურებთან შედარებით

ყალიბდება, შევადაროთ შიშის აღწერის ქართული საშუალებები ინგლისურ და რუსულ საშუალებებს.

შიშის სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი მეტაფორული მოდელების მიხედვით:

<u>შიში არის სიცივე</u>

ცივმა ოფლმა დაასხა
ტანში ცივად გასცრის
(ძარღვებში) სისხლი გაეყინება/დგება

შდრ.:

to grow cold with fear
fear makes his blood freeze
a cold shiver ran down his spine

леденеть от страха
кровь в жилах стынет (леденеет, холодеет)
душа леденеет от страха

<u>შიში არის გაფითრება</u>

მკვდრის ფერი დაედო
ფერმა გადაუარა
ფერი ეცვლება

შდრ.:

his face grew white

лицо побелело от страха
бледен как смерть

<u>შიში მოქმედებს გულზე</u>

გული გადაუბრუნდება/გადაუტრიალდება/გადმოუვარდება
გული გაუსკდება
გული გაუჩერდება

შდრ.:

his heart sank
his heart leaped into his mouth
his heart missed a beat

to have one’s heart in one’s mouth

сердце оборвалось
сердце опустилось
сердце в пятки ушло

<u>შიში მოქმედებს სულზე</u>

შიშით სული სცვივა
სული კოჭებში გაეპარება

შდრ.:

душа в пятки ушла
вселять страх в чью-то душу
душа леденеет от страха

<u>შიში მოქმედებს მხედველობაზე</u>

თვალთ დაუბნელდა
თვალებს აფეთებს

<u>შიში არის მეტყველების უნარის დაკარგვა</u>

ენა წაერთმევა
ენა (მუცელში) ჩაუვარდება

შდრ.:

his tongue was swollen with fear

онеметь от страха
лишиться дара речи
язык отнялся от страха

<u>შიში მოქმედებს თმიან საფარზე</u>

ბალანს აუშვებს
თმა/ბალანი აეშლება
თავზე თმა აებურძგლება
თმა ყალყზე დაუდგება
ჯაგარს (ბალანს) აიშლის

შდრ.:

to go (turn) grey

to make one’s hear stand on end

волосы дыбом встали
поседеть от страха

<u>შიში არის ფიზიკური სისუსტე</u>

მუხლები მოეკვეთება

შდრ.:

the legs got numb

ноги отнялись от страха
ноги стали ватными
ноги подгибаются

<u>შიში არის გაშეშება</u>

დაყრით დადგა

შდრ.:

fear turned him to stone
to grow (become) dumb
fear rooted him to the ground
to be paralyzed (frozen) with fear
to become petrified

застыть от страха
окаменеть от страха
прирасти к земле от страха
страх приковал его к месту
оцепенеть от страха

<u>შიში არის კანკალი, შეკრთომა</u>

წნორის ფურცელივით ცახცახებს
(ტანზე) ეკლებს (ეკალს) აასხამს (დაასხამს)
ტანში ჭიანჭველები დაურბენს

შდრ.:

to shake (quake) in one’s boots
to shake from fear

nearly jump out of your skin
to give someone the willies
fear makes his blood (flesh) creeps
a cold shiver ran down his spine

трепетать (дрожать, вздрогнуть) от страха
дрожит как осиновый лист
страх заставил его содрогнуться
у него мурашки по спине (телу) ползают

<u>შიში ცოცხალი არსებაა</u>

შიშმა აიტანა
შიშის მიერ აღება
შიში უვლის (ტანში)

შდრ.:

fear has a hundred eyes
fear sees danger everywhere
fear eats one's heart out
fear took his breath away

у страха глаза велики
страх исказил его лицо

<u>შიშის გავლენა სუნთქვაზე</u>

ალისქარის ჩაგდება (ვისიმე პირში)

შდრ.:

дыхание перехватило от страха
в зобу дыхание перехватило
у него ком в горле

<u>შიში არის სიკვდილი</u>

გული გაუჩერდება
გული გაუსკდება

შდრ.:

to frighten (scare) someone to death

умирать от страха

испугаться до смерти

ქართულსა და რუსულში დაფიქსირებული შიშის გავლენა სულსა და სუნთქვაზე ინგლისურში არ დაიძებნა. ინგლისურსა და რუსულში არ ჩანს შიშის მოქმედება მხედველობაზე, სამაგიეროდ ორსავე ენაში ვხვდებით მის გავლენას გონებასა (to frighten (scare) the wits out of someone; обезуметь от страха; рассудок помутился от страха; потерять рассудок от страха) და სახის ნაკვთებზე (fear twists one's mouth; his face was destroyed; его перекасило от страха). თუ ქართულში გვაქვს **შიშს ჭამს; შიში აიტანს**, რუსულში გვაქვს томиться от страха, ინგლისურში კი to fall into fear. თუ ჩვენ ვამბობთ **შიშის ქარს ჩაუყენებს; შიშს აჭმევს**, რუსულად ამბობენ держать в страхе; нагонять страх; вселять страх, ინგლისურად კი to put fear in somebody's heart; to put in fear; to throw a scare into someone.

შიშის შესახებ ქართულ თავისებურ შეხედულებაზე მეტყველებს ისეთი ფრაზეოლოგიზმები, როგორებიცაა **ანგელოზებს დაუფრთხობს; კუდს ამოიძუებს; თავში სისხლი აუვარდება; ძვლები (ძვლებზე რბილი ხორცი) ადნება; კუდი ეწვის; კუდით ქვას ასროლინებს; ზურგს აქცევს; მტერს ზურგს დაანახებს (უჩვენებს); შიშით (თაგვის) სოროში შეძვრება; თაგვის სოროს აძებნინებს; მიწას გაეკრა.**

გამოყენებული ლიტერატურა

1. Карасик В.И. О категориях лингвокультурологии. Сб. науч.тр.Волглград:Перемена, 2001.გვ.3-16
2. Слышкин Г.Г. От текста к символу: лингвокультурные концепты прецендентных текстов в сознании и дискурсе.М.:Academia, 2000.
3. Lakoff George, Johnson Mark, Metaphors we live by, Chicago, 1980
4. რ. ამირეჯიბი "სიბრაზის" სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, №2, 2004
5. რ. ამირეჯიბი, "სიკვდილის" სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, №1, 1999
6. რ. ამირეჯიბი "სირცხვილის" სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, №4, 1999
7. რ. ამირეჯიბი "შიშის" სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, №2, 2003
8. Lakoff George, Kovecses Zoltan, The cognitive model of anger inherent in American English // Cultural models in language and thought. Cambridge. Cambridge University Press, 1987

Summery

Rusudan Amirejibi

Concept and metaphoric thought

This essay discusses Georgian idioms of the semantic field of “fear” according to methods of linguistic culturology and compares them to English and Russian idioms of the same field. The idioms discussed in this article will form part of a dictionary of Georgian idioms. Georgian idioms grouped according to their dominant meaning will allow further study by modern linguistic methods and deciphering their metaphoric model.